ქობულეთის შავიზღვისპირეთის გეოეკოლოგიური და ბუნებათსარგებლობითი ასპექტები

ნანა რომანაძე

ელ-ფოსტა: nana.romanadze202@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამათი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1

წინამდებარე ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქობულეთის შავიზღვისპირეთის ტერიტორია, მიმდებარე გორაკ-ბორცვებითა და მთისწინეთებით.

პირველ თავში განხილულია ტერიტორიის ბუნებრივი გარემო, რომელიც მოიცავს რელიეფს, ჰავას, შიგა წყლებს, ნიადაგს, მცენარეულ საფარს. აქ აქცენტი კეთდება ანთროპოგენურ ტრანსფორმაციაზე და გარემოს შენარჩუნების, აღდგენის და კვლავწარმოების ასპექტებზე. ასევე განხილულია ლანდშაფტები და მათი არსებული მდგომარეობა.

მეორე თავში ასახულია ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია, ბუნებრივი სტიქიური მოვლენების, ატმოსფეროს ეკოლოგიური პრობლემების განხილვით. ასევე, აღნიშნულ თავში განხილულია შავი ზღვა და მისი ეკოლოგიური პრობლემები.

მესამე თავში გაანალიზებულია ლანდშაფტური პოტენციალი, ბუნებათსარგებლობა და გარემოს ოპტიმიზაციის საკითხები.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები და დასკვნები.

კვლევა დამყარებულია მრავალკომპონენტურ მიდგომაზე, სადაც გამოყენებულია აღწერილობითი, კარტოგრაფიული, საველე და შედარებითი ანალიზი. კარტოგრაფიული ანალიზისთვის გამოყენებულია, ასევე GIS-ტექნოლოგიები.